პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— იანვარი 2026 წელი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ლიბანის შესახვევისთვის, მიხაკო წერეთლის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ჩიხებისთვის მაყვალა მრევლიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, ლიბანის შესახვევს, მასთან მდებარე უსახელო ქუჩას და სამ უსახელო ჩიხს მიენიჭოს მაყვალა მრევლიშვილის სახელი (გაგრძელდეს მაყვალა მრევლიშვილის ქუჩა), თანდართული რუკის თანახმად.
2. გლდანის რაიონში, მიხაკო წერეთლის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს მაყვალა მრევლიშვილის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
3. გლდანის რაიონში, მაყვალა მრევლიშვილის I ჩიხს მიენიჭოს მაყვალა მრევლიშვილის V ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
5. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**


1:4,000
X=483272 Y=4629044
X=483428 Y=4629083
მაყვალა მრევლიშვილის ქ.
I ბოლო
X=483423 Y=4628891
V ბოლო
X=484004 Y=4629027
X=484054 Y=4629030
X=484038 Y=4628940
IV ბოლო
X=484122 Y=4628865
X=483992 Y=4628818
II ბოლო
X=483798 Y=4628779
III ბოლო
X=484015 Y=4628678

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

06-0325 35133-03.

17 / დეკემბერი / 2025 წ.

KA011795510270225

№ **287264**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს ბატონ ლევან აბაშიძეს

ასლი: სახელმწიფო სერვისების განვითარების
სააგენტოს მონაცემთა ხარისხის მართვის სამსახურის
უფროსს ბატონ ავთანდილ მაღლაკელიძეს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - „სააგენტო") ეტაპობრივად აწარმოებს სამისამართო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემებისა და დოკუმენტაციის ურთიერთშედარებასა და ხარისხის კონტროლს.

მოგახსენებთ, რომ სამისამართო რეესტრში ქალაქ თბილისში სახელდებული გეოგრაფიული ობიექტები და მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის შესახებ პირველადი მონაცემები, რეგისტრირებულია საველე აღწერა/ინვენტარიზაციის დროს (2011-2013 წწ.) ჩატარებული სამუშაოების გზით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე. მათ შორის, სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულია შემდეგი გეოგრაფიული ობიექტები:

- „ქალაქი თბილისი, ბარალეთის ქუჩა";
- „ქალაქი თბილისი, მიხაკო წერეთლის ქუჩა".

სამისამართო რეესტრში აღრიცხული გეოგრაფიული ობიექტის გავრცელების არეალისა (დასაწყისი და დასასრული წერტილი) და უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების ანალიზით გამოიკვეთა შეუსაბამობა, კერძოდ: ბუნდოვანია ზემოაღნიშნული გეოგრაფიული ობიექტების საწყისი წერტილის მდებარეობა, რაც ართულებს აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტების მიმდებარედ არსებული უძრავი ნივთებისათვის ლოგიკური/თანმიმდევრული ინდივიდუალური მისამართების განსაზღვრას.

ამასთან, გადამოწმდა სააგენტოში დაცული *ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მიერ 2008 წელს გამოცემული ენციკლოპედიის („თბილისი, ქუჩები, გამზირები, მოედნები")* ჩანაწერები და თანდართული გრაფიკული გამოსახულებები, სადაც აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტების გავრცელების არეალი სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ობიექტებისგან განსახვავებულია.

საველე აღწერის საფუძველზე მოპოვებული მონაცემებისა და მითითებული ინფორმაციის შეუსაბამობიდან გამომდინარე, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, გთხოვთ მარეგისტრირებელ ორგანოს მიაწოდოთ დაზუსტებული ინფორმაცია, <u>ბარალეთისა და მიხაკო წერეთლის ქუჩების</u> გავრცელების არეალების (დასაწყისი და დასასრული წერტილების მითითებით) თაობაზე.

დანართი: 1 (ერთი) .*pdf ფაილი

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

საჯარო
რეესტრი
სიტუაციური რუკა
ბარალეთის ქუჩა/მიხავკო წერეთლის ქუჩა
ბარალეთის ქუჩა
მიხავკო წერეთლის ქუჩა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032602214**
თარიღი: **22/01/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2025 წლის 17 დეკემბრის საქმე #06-032535133-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია ბარალეთისა და მიხაკო წერეთლის ქუჩების გავრცელების არეალთან დაკავშირებით დაზუსტებული ინფორმაცია.
მოგმართავთ თხოვნით, გამოგვიგზავნოთ ლიბანის შესახვევის და მიმდებარედ არსებული ჩიხების სიტუაციური ნახაზი (შემდგომში მაყვალა მრევლიშვილის ქუჩის გაგრძელების მიზნით) დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 4 (ოთხი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0126026326**
თარიღი: **26/01/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 22.01.2026 წლის # 03-032602214 (22.01.2026წ. #14-01260221431-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი